

შპს ვარციხე 2005

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2022 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

შპს ვარციხე 2005

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	5
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	8
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. შპს ვარციხე 2005 და მისი საქმიანობა	9
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე	19
4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება	20
5. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები	21
6. ძირითადი საშუალებები	22
7. აქტივის გამოყენების უფლება	23
8. გაცემული სესხები	23
9. შეზღუდული ფული	24
10. მარაგები	25
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
12. ფული და ფულის ექვივალენტები	27
13. საწესდებო კაპიტალი	27
14. სესხები	27
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29
16. შემოსავალი	29
17. რეალიზაციის თვითღირებულება	29
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	29
19. მიწოდების და მომსახურების ხარჯები	30
20. ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	30
21. სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	30
22. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	31
23. ფინანსური რისკების მართვა	32
23. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	38
24. შემდგომი მოვლენები	39

შპს ვარციხე 2005

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ვარციხე 2005“-ის („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 10 აპრილს.

ზაალ უფლისაშვილი
გენერალური დირექტორი

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

გიორგი ხაჩიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ვარციხე 2005-ის მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ვარციხე 2005-ის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა პირობითი მოსაზრების აბზაცში აღწერილი საკითხისა, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს დაკავშირებული მხარისგან - შპს ჯოლინ ჰოლდინგს ლიმიტედისგან მიღებული სესხი 2,443,094 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული სესხის ღირებულების შემოწმება რადგან ხელმძღვანელობამ ვერ მოგვაწოდა შესაბამისი დოკუმენტაცია. ვინაიდან მიღებული სესხის ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამოხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.

- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

გიორგი ბერიშვილი

შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

2023 წლის 10 აპრილი

თბილისი, საქართველო

შპს ვარციხე 2005

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	66,210,396	67,073,845
არამატერიალური აქტივები		16,247	19,543
აქტივის გამოყენების უფლება	7	2,126,312	2,193,814
გაცემული სესხები	8	14,541,576	20,042,145
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	18,847,150	-
შეზღუდული ფული	9	302,299	346,559
სულ გრძელვადიანი აქტივები		102,043,980	89,675,906
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	820,314	824,048
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	20,189,679	47,770,275
გაცემული სესხები	8	3,172,461	3,793,647
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		338,699	255,069
სხვა აქტივები		11,823	6,841
ფული და ფულის ექვივალენტები	12	8,193	22,181
სულ მიმდინარე აქტივები		24,541,169	52,672,061
სულ აქტივები		126,585,149	142,347,967
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	102,150,230	102,150,230
გაუნაწილებელი მოგება		1,821,946	10,507,066
სულ კაპიტალი		103,972,176	112,657,296
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	14	13,753,015	20,013,749
გადავადებული შემოსავალი	7	2,058,810	2,126,312
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15,811,825	22,140,061
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები	14	6,260,765	6,839,011
საიჯარო ვალდებულებები		-	6,004
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	381,869	506,005
გადავადებული შემოსავალი	7	67,502	67,502
საგადასახადო ვალდებულებები		91,012	132,088
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,801,148	7,550,610
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		126,585,149	149,793,133

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 10 აპრილს.

ზაალ უფლისაშვილი
გენერალური დირექტორი

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

გიორგი ხაჩიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ვარციხე 2005

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	16	10,223,936	9,953,857
რეალიზაციის თვითღირებულება	17	(5,752,412)	(5,382,020)
მთლიანი მოგება		4,471,524	4,571,837
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,948,326)	(2,707,739)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	19	(355,235)	(337,312)
საპროცენტო შემოსავლები		3,097,143	2,812,144
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	20	(4,876,600)	(2,177,912)
საპროცენტო ხარჯები		(1,863,461)	(2,490,412)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	21	(6,210,165)	(1,677,898)
ზარალი მოგების გადასახადამდე		(8,685,120)	(2,007,292)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური ზარალი		(8,685,120)	(2,007,292)
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(8,685,120)	(2,007,292)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 10 აპრილს.

ზაალ უფლისაშვილი
გენერალური დირექტორი

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

გიორგი ხაჩიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ვარციხე 2005

კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2021 (წინა ანგარიშგებით)	102,150,230	12,205,976	114,356,206
ბალანსი 1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)	102,150,230	12,514,358	114,664,588
სულ წლის სრული ზარალი	-	(2,206,469)	(2,206,469)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2021 (წინა ანგარიშგებით)	102,150,230	9,999,507	112,149,737
სულ წლის სრული ზარალი	-	(2,007,292)	(2,007,292)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	102,150,230	10,507,066	112,657,296
სულ წლის სრული ზარალი	-	(8,685,120)	(8,685,120)
გადახდილი დივიდენდი	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	102,150,230	1,821,946	103,972,176

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 10 აპრილს.

ზაალ უფლისაშვილი
გენერალური დირექტორი

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

გიორგი ხაჩიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ვარციხე 2005

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადის შემდეგ		(8,685,120)	(2,007,292)
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	17, 18, 19	1,988,261	1,976,458
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული (შემოსავალი)/ზარალი		(2,390)	3,273
მარაგების ჩამოწერა	21	-	4,795
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	7	67,502	67,502
გადავადებული შემოსავალი	7	(67,502)	(67,502)
შემოსავალი ინვენტარიზაციის შედეგად		(94,950)	-
ხარჯი ინვენტარიზაციის შედეგად		58,506	-
ფინანსური აქტივის პირობების ცვლილებით გამოწვეული ზარალი	21	4,462,432	-
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	20	4,876,600	2,177,912
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, წმინდა	21	2,064,450	1,241,700
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი გაცემულ სესხებზე, წმინდა	21	(422,865)	427,054
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა		145,338	-
საპროცენტო შემოსავალი		(3,097,142)	(2,812,143)
საპროცენტო ხარჯი		1,863,461	2,490,412
სახსრების (გაძინება)/შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		3,156,581	3,502,169
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		3,156,581	3,502,169
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,910,245)	(2,625,055)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების ზრდა		(228,967)	(159,911)
მარაგების შემცირება/(ზრდა)		40,179	(65,857)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(172,524)	(116,820)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		885,024	534,526
მიღებული პროცენტი		2,223,156	2,841,291
გადახდილი პროცენტი		(1,893,924)	(2,436,778)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,214,256	939,039
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,164,263)	(754,726)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		(926)	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		46,064	-
გაცემული სესხების დაფარვით მიღებული თანხები		3,554,522	3,519,063
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		2,435,395	2,764,337
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	14	(3,650,405)	(3,680,936)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,650,405)	(3,680,936)
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(754)	22,440
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	12	368,740	368,082
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ექვივალენტებზე		(57,494)	(21,782)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	12	310,492	368,740

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 10 აპრილს.

ზაალ უფლისაშვილი
გენერალური დირექტორი

გიორგი ხაჩიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს ვარციხე 2005 და მისი საქმიანობა

შპს ვარციხე 2005 („კომპანია“) დაარსდა 2005 წლის 21 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. ელექტროენერგიის წარმოებაზე კომპანიას საქართველოს ენერგეტიკისა და მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან აქვს ლიცენზია სერია 11 N62, რომელიც ძალაში იყო 2005 წლის 21 მარტიდან 2009 წლის 1 დეკემბრამდე. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 1 დეკემბრის N 28/1 გადაწყვეტილებით გაცემული ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია გახდა უვადა.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელი იყო ლუქსემბურგში რეგისტრირებული შპს ჯორჯიან ამერიქენ ელოიზ 100%-იანი წილით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზ“-ის საბოლოო მფლობელი კომპანიები იყვნენ შპს გ.მ. ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგი და შპს ალვერნა 90%-იანი და 10%-იანი წილებით, შესაბამისად.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს გ.მ. ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგი-ს 100%-იანი მფლობელი იყო შპს ჯოლინ ჰოლდინგი რომლის 50%-ს ფლობდა და აკონტროლებდა შპს სიმ ლიმ თრასთ კომპანი ლიმიტედი და რომლის საბოლოო მფლობელები იყვნენ გენადი ბოგოლიუბოვი 50%-იანი წილით და იგორ კოლომაისკი 50%-იანი წილით.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია წყალტუბოს რაიონი, სოფელი გეგუთი 1, საქართველო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 130, 128 და 129 თანამშრომელი, შესაბამისად.

2022 და 2021 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 131 და 130 თანამშრომელი, შესაბამისად.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

უწყვეტი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან

ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამისი პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოცენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს ელექტროენერგიის გაყიდვით სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას. ეს კომპანიის მთავარი ამოცანა და მისი რეგულარული საქმიანობაა. ისტორიულად კომპანიას კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდა. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება.

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება. ამავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებს გაცემული სესხები, რადგან მათზე მოქმედებს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებშიც ასევე შედის ფინანსური წარმოებულები და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი

მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახდენს აღდგენითი ღირებულების შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას აქტივის გამოყენებადი ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

მიწაზე და დაუმთავრებელ მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობა-ნაგებობები	5-55
გადამცემი მოწყობილობები/მაღოვანი მანქანები და მექანიზმები	5-55
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	5-10
მანქანა დანადგარები და სხვა სპეციალური ტექნიკა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელსაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

აქტივის გამოყენების უფლება და გადავადებული შემოსავალი. სახელმწიფოსგან უსასყიდლო უზურფრუქტით გადმოცემული მიწა და ნაგებობა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია როგორც სახელმწიფოსგან მიღებული გრანტები. აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით, რაც გულისხმობს გრანტის ასახვას გადავადებული შემოსავლის სახით, რომელიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის და მას შემდეგ კომპანიას გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზირებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში კომპანიაში 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, კომპანია მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე საფუძველზე. კომპანიამ შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი ფორვარდული ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოს სპეციფიურია.

ინდივიდუალურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწყისი აღიარებისას შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. კომპანიამ განსაზღვრა სრული მსდ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსდ არსებობის მანძილზე, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენით წარმოიშობა (იგივე - მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპს ეკუთვნის. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ

დეფოლტის ალბათობებს. კომპანია სხვა მოთხოვნების მსდ-ს ანგარიშობს ექსპერტის შეფასებით დადგენილ დანაკარგის განაკვეთების გამოყენებით. ექსპერტის შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვა იმის გამო, რომ არ არსებობს ისეთი ისტორიული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა რეზერვების მატრიცის შექმნა. ამოუღებელი თანხების მისაღებად გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი პერიოდის მოთხოვნების ნაშთებზე.

ყველა შემთხვევაში კომპანია მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით გადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება, სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით გადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამამლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია „ფული და ფულის ექვივალენტებიდან“ ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და

სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებათა დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად

პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040	4.0233

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი კლიენტს გადაეცემა და იმ თანხით, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

კომპანია შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არის შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

შიდა ბაზარზე ელექტროენერგიის რეალიზაციის აღიარება ხორციელდება კლიენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გაზომვის ან გაანგარიშების საფუძველზე შესაბამისი ტარიფების გათვალისწინებით.

ელექტროენერგიის ტრანზიტის აღიარება ხორციელდება გადაცემული ელექტროენერგიის აღრიცხვისა და შესაბამისი ტარიფების გათვალისწინებით.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხორციელდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული კომპანიას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე საპენსიო ფონდში.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება

2022 წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ცვლილებები ფასს 3-თან დაკავშირებით, მითითება კონცეპტუალურ მიდგომაზე;
- ცვლილებები ბასს 16 ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე;
- ცვლილებები ბასს 37 წაგებიან ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ხელშეკრულების შესრულების ღირებულება.

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გაცემული ფასს სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები, რომლებიც ძალაშია წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. მათ მიღებას არანაირი მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე.

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები (მოიცავს 2020 წლის ივნისის და 2021 წლის დეკემბრის ცვლილებებსაც ფასს 17-თან დაკავშირებით)²
- ფასს 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28⁴
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (ცვლილებები)²
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ფასს პრაქტიკის განცხადება 2²
- ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (ცვლილებები)²
- ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები (ცვლილებები)²

¹ ძალაშია 2022 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

² ძალაშია 2023 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

³ ძალაშია 2024 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია;

⁴ სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

5. წინა პერიოდის გადაანგარიშებები და რეკლასიფიკაციები

წინა პერიოდის გამორჩენილი მონაცემები და შეცდომები. კომპანია წინა პერიოდის მნიშვნელოვან გამორჩენილ ინფორმაციასა და შეცდომებს რეტროსპექტიულად ასწორებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რა მიზნითაც გადააფასებს წინა პერიოდის იმ შედარებით თანხებს, რომლებშიც მოხდა მონაცემის გამოტოვება ან მცდარი ასახვა და თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ წინა პერიოდში, მაშინ გადააფასებს ამ აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის აღნიშნული ადრეული წინა პერიოდის საწყის ნაშთებს.

ხელმძღვანელობამ გამოავლინა და რეტროსპექტიულად გაასწორა შეცდომები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემდეგ პუნქტებში:

(ქართული ლარი)	ანგარიშგებული	გადაანგარიშების ეფექტი	გადაანგარიშებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	19,193,421	848,724	20,042,145
მიმდინარე აქტივები			
გაცემული სესხები	4,134,812	(341,165)	3,793,647
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	9,999,507	507,559	10,507,066
(ქართული ლარი)	ანგარიშგებული	გადაანგარიშების ეფექტი	გადაანგარიშებული
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	2021		2021
საპროცენტო შემოსავალი	2,591,883	220,261	2,812,144
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	(1,656,814)	(21,084)	(1,677,898)
(ქართული ლარი)	ანგარიშგებული	გადაანგარიშების ეფექტი	გადაანგარიშებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები	1 იანვარი 2021		1 იანვარი 2021
გრძელვადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	24,832,271	874,841	25,707,112
მიმდინარე აქტივები			
გაცემული სესხები	4,206,339	(566,458)	3,639,881
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	12,205,975	308,383	12,514,358

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

6. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

დასახელება	მიწა	დაუმთავრებელი შენიშვნა და დაუმონტაჟებული მოწყობილობები	შენიშვნა ნაგებობები	ძალადგანი მანქანები, მექანიზმები და გადამცემი მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	მუშა მანქანები და მზომი ხელსაწყოები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2021	33,764,149	881,720	18,446,224	19,389,074	589,222	763,970	360,382	74,194,741
დამატება	-	-	42,431	492,028	165,600	20,716	33,950	754,725
გასვლა	-	-	(2,808)	(698)	(87,387)	(12,159)	(17,005)	(120,057)
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	33,764,149	881,720	18,485,847	19,880,404	667,435	772,527	377,327	74,829,409
დამატება	-	39,913	16,794	666,878	312,651	30,117	97,909	1,164,262
გასვლა	-	-	-	-	(151,293)	-	(25,224)	(176,517)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	33,764,149	921,633	18,502,641	20,547,282	828,793	802,644	450,012	75,817,154
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2021	-	-	(1,584,444)	(3,651,678)	(290,208)	(223,300)	(150,643)	(5,900,273)
წლის დარიცხვა	-	-	(456,782)	(1,265,554)	(113,845)	(71,940)	(63,954)	(1,972,075)
გასვლა	-	-	690	686	87,054	11,914	16,440	116,784
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	-	-	(2,040,536)	(4,916,546)	(316,999)	(283,326)	(198,157)	(7,755,564)
წლის დარიცხვა	-	-	(457,064)	(1,343,698)	(66,057)	(53,124)	(64,095)	(1,984,038)
გასვლა	-	-	-	-	107,620	-	25,224	132,844
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	-	-	(2,497,600)	(6,260,244)	(275,436)	(336,450)	(237,028)	(9,606,758)
წმინდა საბალანსო ღირებულებები:								
1 იანვარი 2021	33,764,149	881,720	16,861,780	15,737,396	299,014	540,670	209,739	68,294,468
2021 წლის 31 დეკემბერი	33,764,149	881,720	16,445,311	14,963,858	350,436	489,201	179,170	67,073,845
2022 წლის 31 დეკემბერი	33,764,149	921,633	16,005,041	14,287,038	553,357	466,194	212,984	66,210,396

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა სრულად გაცვეთილი და მოხმარებაში არსებული ძირითადი საშუალებები ისტორიული ღირებულებით 310,711 ლარი, 364,683 ლარი და 70,623 ლარი, შესაბამისად.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები სრულად იყო დაგირავებული ზანკებისგან მიღებული სესხებით (შენიშვნა 14).

7. აქტივის გამოყენების უფლება

2005 წლის 17 მაისს შპს ვარციხე 2005-ს სახელმწიფოსგან (წარმოდგენილი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახით) 49 წლიანი ვადით უსასყიდლო უზურფრუქტის სახით გადმოეცა ვარციხის წყალსაცავი, რომელიც შედგება მიწისაგან და წყალსაცავისაგან, რომელთა საბაზრო ღირებულებაც იყო 107,101 ლარი და 3,200,496 ლარი, შესაბამისად. მიწის ფართობია 2,956,200 კვ.მ, საიდანაც 1,361,000 კვ.მ. მდებარეობს წყალტუბოს რაიონში, 180,000 კვ.მ. მდებარეობს თერჯოლის რაიონში და 1,415,200 კვ.მ. მდებარეობს ზაღდათის რაიონში.

სახელმწიფოსგან უსასყიდლო უზურფრუქტით გადმოცემული მიწა და შენობა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია როგორც სახელმწიფოსგან მიღებული გრანტები. აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით, რაც გულისხმობს გრანტის ასახვას გადავადებული შემოსავლის სახით, რომელიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

8. გაცემული სესხები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გაცემული სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
შპს ჯორჯიან მანგანეზი	დოლარი	10%	30/04/2027	18,829,889	25,374,508	30,458,655
სულ სესხები				18,829,889	25,374,508	30,458,655
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი				(1,115,852)	(1,538,716)	(1,111,662)
სულ სესხები, წმინდა				17,714,037	23,835,792	29,346,993

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

სესხების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
1 წლამდე	3,172,461	3,793,647	3,639,881
ერთიდან ხუთ წლამდე	15,657,428	19,506,127	18,460,920
ხუთ წელზე მეტი	-	2,074,734	8,357,854
სულ გაცემული სესხები	18,829,889	25,374,508	30,458,655
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(1,115,852)	(1,538,716)	(1,111,662)
სულ გაცემული სესხები, წმინდა	17,714,037	23,835,792	29,346,993

გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი შემდეგია:

(ლარი)	2022	2021
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 31 დეკემბერს	(1,538,716)	(1,111,662)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	(427,054)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაუქმება წლის განმავლობაში	422,864	-
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 31 დეკემბერს	(1,115,852)	(1,538,716)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია გაცემული სესხების ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	31 დეკემბერი 2021	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკუროს სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ცვლილება	სესხის ღირებულების ცვლილება	31 დეკემბერი 2022
გაცემული სესხები	23,835,792	(3,554,522)	(15,682)	(2,974,416)	422,865	-	17,714,037
	1 იანვარი 2021	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკუროს სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ცვლილება	სესხის ღირებულების ცვლილება	31 დეკემბერი 2021
გაცემული სესხები	29,346,993	(3,519,062)	(29,148)	(1,535,934)	(427,057)	-	23,835,792

9. შეზღუდული ფული

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეზღუდული ფული წარმოადგენს სს თიბისი ბანკში განთავსებულ ფულს სს თიბისი ბანკისგან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად (შენიშვნა 14).

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

10. მარაგები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ნედლეული და მასალები	820,314	824,048	762,986
სულ მარაგები	820,314	824,048	762,986

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	44,185,078	50,854,075	50,472,108
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-	630
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	44,185,078	50,854,075	50,472,738
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(5,148,249)	(3,083,800)	(1,842,100)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	39,036,829	47,770,275	48,630,638

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს საერთო მფლობელობაში მყოფი დაკავშირებული კომპანიებთან მოთხოვნებს 39,036,769 ლარის, 47,770,215 ლარის და 48,352,459 ლარის ოდენობით, შესაბამისად. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნებიდან 42,973, 376 ლარი, 11,327,940 ლარი და 9,004,296 ლარი, შესაბამისად, არის ვადაგადაცილებული, მაგრამ არ არის გაუფასურებული. ზოგიერთ შემთხვევაში, ხელმძღვანელობამ შეიმღება მოვალეებს მისცეს თანხის მოგვიანებით გადახდის ნება. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, რომელიც განისაზღვრა ამ კომპანიების რეიტინგის, ფინანსური შედეგების გადახედვისა და მისი ფულადი სახსრების ანალიზის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის დინამიკა შემდეგია:

(ლარი)	2022	2021
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 31 დეკემბერს	(3,083,799)	(1,842,100)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	-	-
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაუქმება წლის განმავლობაში	(2,064,450)	(1,241,700)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი 31 დეკემბერს	(5,148,249)	(3,083,800)

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხი შემდეგია:

31 დეკემბერი 2022	ვადაგადაუც ილებელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილ ებით	30-90 დღის ვადაგადაცი ლებით	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილ ებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება					
დეფოლტისას, სულ	1,211,702	706,952	1,126,139	41,140,285	44,185,078

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

მსდ არსებობის მანძილზე	-	-	-	(5,148,249)	(5,148,249)
	30 დღეზე ნაკლები	30-90 დღის	90 დღეზე მეტი		
	ვადაგადაუც ილებელი	ვადაგადაცილ ებით	ვადაგადაცი ლებით	ვადაგადაცილ ებით	სულ
31 დეკემბერი 2021					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება					
დეფოლტისას, სულ	39,526,105	602,986	1,791,081	8,933,903	50,854,075
მსდ არსებობის მანძილზე	-	-	-	(3,083,800)	(3,083,800)

	30 დღეზე ნაკლები	30-90 დღის	90 დღეზე მეტი		
	ვადაგადაუც ილებელი	ვადაგადაცილ ებით	ვადაგადაცი ლებით	ვადაგადაცილ ებით	სულ
1 იანვარი 2021					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება					
დეფოლტისას, სულ	41,192,412	1,011,391	671,647	7,597,288	50,472,738
მსდ არსებობის მანძილზე	-	-	-	(1,842,100)	(1,842,100)

	31 დეკემბერი 2022		
	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი	
	მსდ არსებობის მანძილზე -	მსდ არსებობის მანძილზე -	
	საკრედიტო ხარისხი -	საკრედიტო ხარისხი -	
	გაუფასურების გარეშე	გაუფასურებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	1,211,702	-	1,211,702
0-30 დღის ვადაგადაცილებით	706,952	-	706,952
30-90 დღის ვადაგადაცილებით	1,126,139	-	1,126,139
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	41,140,285	41,140,285
სულ	3,044,793	41,140,285	44,185,078

	31 დეკემბერი 2021		
	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი	
	მსდ არსებობის მანძილზე -	მსდ არსებობის მანძილზე -	
	საკრედიტო ხარისხი -	საკრედიტო ხარისხი -	
	გაუფასურების გარეშე	გაუფასურებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	39,526,105	-	39,526,105
0-30 დღის ვადაგადაცილებით	602,986	-	602,986
30-90 დღის ვადაგადაცილებით	1,791,081	-	1,791,081
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	8,933,903	8,933,903
სულ	41,920,172	8,933,903	50,854,075

	1 იანვარი 2021		
	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი	
	მსდ არსებობის მანძილზე -	მსდ არსებობის მანძილზე -	
	საკრედიტო ხარისხი -	საკრედიტო ხარისხი -	
	გაუფასურების გარეშე	გაუფასურებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	41,192,412	-	41,192,412
0-30 დღის ვადაგადაცილებით	1,011,391	-	1,011,391
30-90 დღის ვადაგადაცილებით	671,647	-	671,647
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	-	7,597,288	7,597,288
სულ	42,875,450	7,597,288	50,472,738

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

12. ფული და ფულის ექვივალენტები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ნაღდი ფული სალაროში	422	1,010	1,331
ფული ბანკში	7,771	21,171	165
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	8,193	22,181	1,496

13. საწესდებო კაპიტალი

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნებადართული და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა 102,150,230 ლარს.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელი იყო ლუქსემბურგში რეგისტრირებული შპს ჯორჯიან ამერიქენ ელოიზ 100%-იანი წილით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზ“-ის საბოლოო მფლობელი კომპანიები იყვნენ შპს გ.მ. ჯორჯიან მანგანუზ ჰოლდინგი და შპს ალვერნა 90%-იანი და 10%-იანი წილებით, შესაბამისად.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს გ.მ. ჯორჯიან მანგანუზ ჰოლდინგი-ს 100%-იანი მფლობელი იყო შპს ჯოლინ ჰოლდინგი რომლის 50%-ს ფლობდა და აკონტროლებდა შპს სიმ ლიმ თრასტ კომპანი ლიმიტედი და რომლის საბოლოო მფლობელები იყვნენ გენადი ბოგოლიუბოვი 50%-იანი წილით და იგორ კოლომაისკი 50%-იანი წილით.

14. სესხები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადანობა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სს თიბისი ბანკი	დოლარი	9%	01/01/2027	17,570,686	24,051,973	29,225,899
შპს ჯოლინ ჰოლდინგს ლიმიტედი	დოლარი	16%	30/06/2021	2,443,094	2,800,787	2,886,120
სულ სესხები				20,013,780	26,852,760	32,112,019

კომპანია ვალდებულია, შეასრულოს ზემოაღნიშნულ მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ფინანსური შეთანხმებები, რაც მოიცავს დადგენილ კოეფიციენტებს, სესხი/კაპიტალის კოეფიციენტებსა და ფინანსური მომგებიანობის ზოგიერთ სხვა მაჩვენებელს.

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას დარღვეული ჰქონდა სს თიბისი ბანკთან არსებული სასესხო ხელშეკრულებებით დადგენილი კაპიტალი/სესხის კოეფიციენტები. თუმცა, საანგარიშგებო დღემდე კომპანიამ ბანკისგან მიიღო წერილობითი უარი კოეფიციენტების დარღვევით გამოწვეული უფლებების ამოქმედებაზე და ბანკი დათანხმდა შეღავათიან პერიოდს, რომელიც დასრულდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის შემდეგ.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიამ დაარღვია შემდეგი ფინანსური პირობები:

- ა) სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR მინიმუმ 1.3 დონეზე მოგება-ზარალიდან და სხვა სრული შემოსავლიდან დათვლის შედეგად და 1.05 დონეზე მეტი თავისუფალი ფულადი ნაკადებიდან დათვლის შემთხვევაში;
- ბ) კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ 3.0 დონეზე;

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიამ დაარღვია შემდეგი ფინანსური პირობები:

- ა) ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (EBITDA) 300%-ზე მეტი;
- ბ) სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR მინიმუმ 1.3 დონეზე მოგება-ზარალიდან და სხვა სრული შემოსავლიდან დათვლის შედეგად და 1.05 დონეზე მეტი თავისუფალი ფულადი ნაკადებიდან დათვლის შემთხვევაში;
- გ) კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ 3.0 დონეზე;

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ დაარღვია შემდეგი ფინანსური პირობები:

- ა) ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების (EBITDA) 300%-ზე მეტი;
- ბ) სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR მინიმუმ 1.3 დონეზე მოგება-ზარალიდან და სხვა სრული შემოსავლიდან დათვლის შედეგად და 1.05 დონეზე მეტი თავისუფალი ფულადი ნაკადებიდან დათვლის შემთხვევაში;

სესხების ვადიანობა:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
1 წლამდე	6,260,765	6,839,011	6,834,450
ერთიდან ხუთ წლამდე	13,753,015	20,013,749	25,277,569
სულ ნასესხები სესხები	20,013,780	26,852,760	32,112,019

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	31 დეკემბერი 2021	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2022
აღებული სესხები	26,852,760	(3,650,405)	(30,464)	(3,158,111)	20,013,780

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

	1 იანვარი 2021	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2021
აღებული სესხები	32,112,019	(3,680,936)	53,634	(1,631,957)	26,852,760

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	284,267	269,931	334,596
გადასახდელი ხელფასები	97,602	236,074	244,630
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	381,869	506,005	579,226

16. შემოსავალი

შემოსავალი შედგება შემდეგისაგან:

	2022	2021
ელექტროენერგიის მიწოდება	10,201,339	9,917,366
სხვა	22,597	36,491
სულ შემოსავალი	10,223,936	9,953,857

17. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება შემდეგისაგან:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	2,931,194	2,851,803
ცვეთა და ამორტიზაცია	1,863,783	1,866,043
სასაქონლო მატერიალური მარაგები	530,499	315,187
შემენილი მომსახურება	426,936	348,987
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	5,752,412	5,382,020

18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება (მასთან გათანაბრებული განაცემების ჩათვლით)	1,343,084	1,325,050
დაცვა	445,587	411,966
საგადასახადო	430,095	386,662
საკონსულტაციო	124,118	134,764
სამეურნეო	106,659	44,233
კომუნალური	97,176	81,563
დაზღვევა	91,168	114,396
ცვეთა და ამორტიზაცია	64,650	65,694
იჯარა	48,793	9,673
მივლინება	22,675	11,001
სხვა	174,321	122,737
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2,948,326	2,707,739

19. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

მიწოდების და მომსახურების ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2022	2021
ელექტროენერგიის გადაცემა	155,070	150,753
შრომის ანაზღაურება	126,518	129,896
ცვეთა და ამორტიზაცია	59,828	44,721
სხვა	13,819	11,942
სულ მიწოდების და მომსახურების ხარჯები	355,235	337,312

20. ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა

ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა შედგება შემდეგისაგან:

	2022	2021
შემოსავალი სავალუტო ოპერაციებზე	10,093,672	8,741,832
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე	(14,970,272)	(10,919,744)
სულ ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	(4,876,600)	(2,177,912)

21. სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

	2022	2021 (გადაანგარიშებული)
გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	422,864	(427,054)
შემოსავალი ინვენტარიზაციის შედეგად	94,950	77,637
გადავადებული შემოსავალი	67,502	67,502
ფინანსური აქტივის პირობების ცვლილებით გამოწვეული ზარალი	(4,462,432)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	(2,064,450)	(1,241,700)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა	(145,338)	-
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	(67,502)	(67,502)
ხარჯი ინვენტარიზაციის შედეგად	(58,506)	(82,432)
სხვა	2,747	(4,349)
სულ არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	(6,210,165)	(1,677,898)

2022 წლის 3 იანვრის მდგომარეობით შპს ვარციხე 2005-სა და შპს ჯორჯიან მანგანუ-ს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სავაჭრო მოთხოვნის დაფარვის თარიღად განისაზღვრა 2026 წლის 31 დეკემბერი. რადგან არსებული ფინანსური აქტივი ჩანაცვლდა იმავე კონტრაგენტთან სხვა ფინანსური აქტივით არსებითად შეცვლილი პირობებით, მოხდა მანამდე აღრიცხული მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნის აღიარების გაუქმება და ახალი სავაჭრო მოთხოვნის აღიარება.

22. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2022 და 2021 წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა. საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და ტოვებს სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიდან გაიტანა. ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მენეჯმენტს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, თუ რა გავლენას მოახდენენ ისინი კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და ხელშეწყობის მიზნით იღებს ყველა საჭირო ზომას.

23. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაცვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	39,036,829	47,770,275	48,630,638
ფული და ფულის ექვივალენტი	8,193	22,181	1,496
შეზღუდული ფული	302,299	346,559	366,585
გაცემული სესხები	17,714,037	23,835,792	29,346,993
სულ საკრედიტო რისკი	57,061,358	71,974,807	78,345,712

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოირიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	
	USD 1 = 2.7020 GEL	EUR 1 = 2.8844 GEL	USD 1 = 3.0976 GEL	EUR 1 = 3.5040 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	19,462	-
შეზღუდული ფული	302,299	-	346,559	-
გაცემული სესხები	17,714,037	-	23,835,792	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25,772,696	-	38,660,125	-
სულ ფინანსური აქტივები	43,789,032		62,861,938	
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	20,013,780	-	26,852,760	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	49,000	-	46,851	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,062,780	-	26,899,611	-
სულ წმინდა პოზიცია	23,726,252	-	35,962,327	-
	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)			
	USD 1 = 3.2766 GEL	EUR 1 = 4.0233 GEL		
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-		
შეზღუდული ფული	366,585	-		
გაცემული სესხები	29,346,993	-		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	41,074,165	-		
სულ ფინანსური აქტივები	70,787,743	-		
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	32,112,019	-		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	49,558	-		
სულ ფინანსური ვალდებულებები	32,161,577	-		
სულ წმინდა პოზიცია	38,626,166	-		

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2022 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL + 20%	USD/GEL - 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL - 20%
მოგება/(ზარალი)	4,745,250	(4,745,250)	-	-

2021 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა (გადაანგარიშებული)		EUR ზეგავლენა (გადაანგარიშებული)	
	USD/GEL + 20%	USD/GEL - 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL - 20%
მოგება/(ზარალი)	7,192,465	(7,192,465)	-	-

2021 წლის 1 იანვარს:

	USD ზეგავლენა (გადაანგარიშებული)		EUR ზეგავლენა (გადაანგარიშებული)	
	USD/GEL + 20%	USD/GEL - 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL - 20%
მოგება/(ზარალი)	7,725,233	(7,725,233)	-	-

ეს რისკი გაანგარიშებულია კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
სულ სესხები (შენიშვნა 14)	20,013,779	26,852,760	32,112,019
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 12)	(8,193)	(22,181)	(1,496)
წმინდა სესხები	20,005,586	26,830,579	32,110,523
სულ კაპიტალი	103,972,176	112,657,296	114,664,588
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	19.24%	23.82%	28.00%

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას განზრახული აქვს მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

2022 წლის 31 დეკემბერი:

	6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	8,193	-	-	8,193
შეზღუდული ფული	-	-	302,299	302,299
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,189,679	-	18,847,149	39,036,829
გაცემული სესხები	2,040,819	2,771,439	18,476,259	23,288,517
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	22,238,691	2,771,439	37,625,707	62,635,838
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	381,869	-	-	381,869
საგადასახადო ვალდებულებები	91,013	-	-	91,013
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-	-
სესხები	5,006,547	2,562,664	15,803,096	23,372,307
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	5,479,429	2,562,664	15,803,096	23,850,941
ლიკვიდობის დეფიციტი	16,759,262	208,775	21,822,611	38,790,648
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	16,759,262	16,968,037	38,790,648	

2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული):

	6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	22,181	-	-	22,181
შეზღუდული ფული	-	-	346,559	346,559
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47,770,275	-	-	47,770,275
გაცემული სესხები	3,065,559	3,065,559	26,476,711	32,607,829
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	50,858,015	3,065,559	26,823,270	80,746,844
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	506,005	-	-	506,005
საგადასახადო ვალდებულებები	132,087	-	-	132,087
საიჯარო ვალდებულებები	6,004	-	-	6,004
სესხები	5,739,557	2,937,863	23,992,556	32,669,976
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	6,383,653	2,937,863	23,992,556	33,314,072
ლიკვიდობის დეფიციტი	44,474,362	127,696	2,830,714	47,432,772
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	44,474,362	44,602,058	47,432,772	

2021 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული):

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

	6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,496	-	-	1,496
შეზღუდული ფული	-	-	366,585	366,585
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	278,154	48,352,484	-	48,630,638
გაცემული სესხები	3,242,708	3,242,708	34,492,127	40,977,543
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	3,522,358	51,595,192	34,858,712	89,976,262
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	579,226	-	-	579,226
საგადასახადო ვალდებულებები	122,640	-	-	122,640
საიჯარო ვალდებულებები	53,343	-	-	53,343
სესხები	3,107,633	6,149,189	31,594,272	40,851,094
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	3,862,842	6,149,189	31,594,272	41,606,303
ლიკვიდობის დეფიციტი	(340,484)	45,446,003	3,264,440	48,369,959
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	(340,484)	45,105,519	48,369,959	

23. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	39,036,769
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-
გაცემული სესხები	-	17,714,037
მიღებული სესხები	-	2,443,094

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
შემოსავალი	-	10,031,462
მარაგების შესყიდვა	-	9,170
საპროცენტო შემოსავალი	-	3,097,142
შრომის ანაზღაურება და მასთან გათანაბრებული განაცემები	-	4634,310
		-

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია (გადაანგარიშებული):

შპს ვარციხე 2005

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	47,770,215
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		22,247	9,605
გაცემული სესხები	-	-	23,835,792
მიღებული სესხები	-	-	2,800,787

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
შემოსავალი	-	-	9,774,325
მარაგების შესყიდვა	-	-	6,265
საპროცენტო შემოსავალი	-	-	2,812,143
საპროცენტო ხარჯები	-	-	77,564
შრომის ანაზღაურება და მასთან გათანაბრებული განაცემები	-	498,693	-

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია (გადაანგარიშებული):

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	40,870,047
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		28,077	8,415
გაცემული სესხები	-	-	29,346,993
მიღებული სესხები	-	-	2,886,120

24. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს „ვარციხე 2005“

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა



წყალტუბო 2022 წელი

სარჩევი

საიდენტიფიკაციო ინფორმაცია.....	3
კომპანიის მოკლე ისტორია.....	3
ინფორმაცია დამფუძნებლის შესახებ.....	3
ვარციხის განვითარების მოკლე ისტორია.....	4
ბიზნესმოდელი.....	6
საქმიანობის მიმოხილვა.....	6
ელექტროენერგიის ბაზრის ახალი მოდელი და კონცეფცია -----	8
საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება.....	9
მიზნები და განვითარების გეგმები.....	11
კვლების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	12
განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები და სამომავლო გეგმები.....	12
ორგანიზაციის სტრუქტურა.....	13
ლიცენზიები და ნებართვები.....	14
სოციალური და დასაქმებულებთან დაკავშირებული საკითხები.....	15
ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა.....	16
სამუშაო ანაზღაურების სისტემა.....	17
შიდა პოლიტიკა.....	188
ძირითადი რისკები და გაურკვევლობა.....	18
გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.....	19
ფინანსური მაჩვენებლები.....	20

საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

საწარმოს დასახელება :

შპს „ვარციხე 2005“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა :

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საკუთრების ფორმა: კერძო

იურიდიული მისამართი, ტელ/ელ.ფოსტა :

წყალტუბოს რ-ნი, სოფ. გეგუთი 1; (995) 577 555 441

chancellery@vhpp.ge /g.khachidze@vhpp.ge

გადასახადის გადამხდელის საიდენტ. ნომერი :

221297870

მომსახურე ბანკის რეკვიზიტები :

ს.ს. „თიბისი ბანკი“, ა/ა № GE41TB7537936030100001, კოდი-TBCBGE22

საწარმოს ხელმძღვანელი :

დირექტორი - ზაალ უფლისაშვილი

კომპანიის მოკლე ისტორია

ინფორმაცია დამფუძნებლის შესახებ

შპს „ვარციხე 2005“ რეგისტრირებული იქნა 2005 წლის 21 მარტს წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მიერ, №59/5-ბ-283 დადგენილებით. კომპანიის დამფუძნებელი იყო სახელმწიფო (100%-ნი წილით), წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სახით. შპს დაფუძნდა მისი წინამორბედის სს „ვარციხე 2005“-ს კასკადი“-ს ქონების ბაზაზე, რომლიდანაც ამოღებული ძირითადი ქონება (99 493 500 ლარი) შევიდა შპს-ს საწესდებო კაპიტალში.

2006 წლის 08 დეკემბრის ხელშეკრულების (შპს „ვარციხე 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის ნასყიდობის თაობაზე) მიხედვით შპს „ვარციხე 2005“-ის 100%-ნი წილის მესაკუთრე გახდა G.M. Georgian Manganese Holding Limited-ი, კომპანია რომელიც დაფუძნებულია კვიპროსის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ცვლილება სამეწარმეო რეესტრში განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 17 იანვრის №15 ბრძანების მიხედვით.

2013 წლის აპრილის თვიდან შპს „ვარციხე 2005“-ის 100%-ნი წილის მესაკუთრეს (ერთადერთ პარტნიორს) წარმოადგენს მისი ამჟამინდელი მესაკუთრე - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯორჯიან ამერიკან ელოიზ“-ი, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო. წარმომადგენლობის ერთპიროვნული უფლებამოსილება გააჩნია

საზოგადოების დირექტორს, ზაალ უფლისაშვილს დაბადებულს 1970 წელს, უმაღლესი განათლებით, სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, მცხოვრებს ქ.თბილისში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 17 ოქტომბერის №58 ბრძანებით, რომლის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 14.09.2006წ №1-3/595 და 13.10.2006წ №1-3/643 ბრძანებები, სამეწარმეო რეესტრში შევიდა შემდეგი ცვლილება : გაიზარდა შპს „ვარციხე 2005“-ის საწესდებო კაპიტალი და ნაცვლად 99 493 500 ლარისა განისაზღვრა 100 283 430 ლარით.

ვარციხეჭესის განვითარების მოკლე ისტორია

როგორც აღინიშნა შპს „ვარციხე 2005“ დაფუძნებულია მისი წინამორბედი სს „ვარციხეჭესების კასკადის“ საფუძველზე (მისი ქონების ბაზაზე).

1949 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის მიერ შედგენილი იქნა მდინარე რიონის ენერგეტიკული რუკა, რომლის მიხედვით ვარციხის ჰესები გამოიყენებდა მდ. რიონის ვარდნას მდინარე ყვირილა-ხანის წყალის შესართავიდან მდინარე გუბის წყალის შესართავამდე.

1954 წელს თბილჭიდროპროექტს დაევალა შეედგინა ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების საპროექტო მოცულობა, რომელიც შესრულებული იქნა 1955 წელს, ხოლო 1956 წლის 2 ივლისს პროექტი განხილული და დამტკიცებული იქნა სსრკ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს მიერ. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, ურთიერთობათა გაღრმავებამ, გარემოს დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი მოთხოვნების გათვალისწინებამ მოითხოვა პროექტის ხელახალი გადახედვა, ფინანსური კუთხით ცვლილებების შეტანა და საბოლოოდ პროექტი დამტკიცდა 1971 წლის 28 მარტს სსრკ ენერგეტიკის სამინისტროს №03-14 გადაწყვეტილების საფუძველზე.

ვარციხის ჰესების მშენებლობა დაიწყო 1972 წელს. ჰიდროტექნიკური ნაგებობები განლაგებულია მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. ნაგებობათა შედგენილობაში შედის სათავე კვანძი და ოთხი თანაბარ დაწნევიანი ტიპიური ჰიდროელექტროსადგური, რომლებიც განლაგებულია დერივაციულ არხებზე. კასკადის დადგმული სიმძლავრე 184 მვტ-ია. საპროექტო 1 მილიარდი კვტ.სთ ელექტროენერგიის საშუალო წლიურ გამომუშავებით.

პირველი სამი სადგური გაშვებული იყო ექსპლოატაციაში შესაბამისად 1976, 1978, 1980 წლებში, ხოლო მე-4 სადგური 1988 წელს.

კაპიტალურობის კლასის მიხედვით კასკადის ჰიდროტექნიკური ნაგებობები მიეკუთვნება მესამე კლასს, სეისმოლოგიური მედეგობა შეადგენს 8 ბალს. ვარციხის ჰესები განთავსებულია დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობზე. ქუთაისიდან სამხრეთით, რისთვისაც იყენებს მდინარე რიონის და მათი შენაკადების ჩამონადენს. სათავე ნაგებობის კვანძი განთავსებულია სოფ. ვარციხესთან უშუალოდ მდ. რიონის , ხანისწყლისა და ყვირილას შეუღლების ადგილას.

წყალმიმღების შემდეგ იწყება სადერივაციო არხი, რომლის სიგრძეა 27,2 კმ-ი, ის გრძელდება მდ. გუბისწყალის შენაკადამდე. დერივაცია გათვლილია ისე რომ გაატაროს წყლის საანგარიშო ხარჯი-350 კუბ.მ-წმ-ში. წყალშემკრები ფართი 8 100 კვ.კმ-ია. განთავსების რაიონი ტემპერატურული პირობებით თბილი და ნესტიანი კლიმატით ხასიათდება. ჰესის საშუალო წლიური ტემპერატურა „14“ გრადუსია, ტერიტორია წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებულ დაბლობს.

- მანძილი ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან -5 კმ.
- მანძილი ქუთაისის რკინიგზის სატვირთო სადგურიდან - 16კმ.
- მანძილი კოპიტნარის აეროპორტიდან-33კმ.

ამჟამად შპს „ვარციხე 2005“-ის საკუთრებაში ირიცხება 4 909 364 კვ.მ მიწის ფართობი.

რაიონების მიხედვით: წყალტუბო-3 382 163კვ.მ

ბაღდათი-64 200 კვ.მ

სამტრედია-1 463 001 კვ.მ

დროებით სარგებლობაში შპს „ვარციხე 2005“-ს სახელმწიფოსაგან (წარმოდგენილი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახით) 49 წლიანი ვადით უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადმოცემული აქვს ვარციხის წყალსაცავი და მიწის ნაკვეთი-2 956 200კვ.მ, რომელზედაც განთავსებულია წყალსაცავი. უზურფრუქტით გადმოცემული მიწის ნაკვეთიდან: წყალტუბოს რ-ნის ტერიტორიაზე მდებარეობს 1 361 000კვ.მ, თერჯოლის რ-ნის ტერიტ-ზე მდებარეობს 180 000კვ.მ, ბაღდათის ტერიტ-ზე 1 415 200კვ.მ.

ვარციხის ჰიდროელექტროსადგურები განკუთვნილია საქართველოს ელექტროსისტემაში სამუშაოდ და რადგან წყალსაცავის მოცულობა არასაკმარისია მთლიანი სადღეღამისო რეგულირებისათვის მუშაობს სეზონურ რეჟიმში ჩამოდიხებული წყლის რაოდენობის მიხედვით, ძირითადად ელექტრო დატვირთვების დღე-ღამურ ბაზისურ გარეგნულში.

შპს „ვარციხე 2005“ წარმოადგენს ოთხი იდენტური ჰიდროელექტროსადგურის კასკადს. თითოეულ სადგურში დგას ორ-ორი 23 მვტ სიმძლავრის ჰიდროაგრეგატი , სულ 8-ვე აგრეგატის ნორმატიული სიმძლავრე 184 მვტს-ია.

ბიზნესმოდელი საქმიანობის მიმოხილვა

წესდების შესაბამისად საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის საგანს წარმოადგენს

- ელ. ენერგიის წარმოება და რეალიზება;
- ხელშეკრულებების დადება სახელმწიფო და კერძო პირებთან სამუშაოების შესრულებაზე და მომსახურებაზე ;
- საზოგადოებას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას , საზოგადოების და დამფუძნებლის ინტერესებს;
- ნებისმიერ ისეთ საქმიანობას, რისთვისაც გათვალისწინებულია ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვება, საზოგადოება განახორციელებს მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების შემდეგ.

კომპანია, რომელიც ფლობს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ-ი) მიერ გაცემულ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიას თავის საქმიანობას ახორციელებს: „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს #46 დადგენილებით „ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ , 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების„ , საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №340 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების“ სხვა ნორმატიული აქტების მიხედვით.

ძირითადი სამოქმედო ბაზრები

ელექტროენერგიის ბაზრის ფუნქციონირების წესს განსაზღვრავს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები“. ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეებს წარმოადგენენ შემდეგი პირები:

- a) სისტემის კომერციული ოპერატორი;
- b) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების შესაბამისად საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრირებული შემდეგი კვალიფიციური საწარმოები: წარმოების ლიცენზიანტი, პირდაპირი მომხმარებელი, განაწილების ლიცენზიანტი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი.

საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ რეგისტრაციის მაძიებელმა სისტემის კომერციულ ოპერატორში უნდა წარადგინოს დადგენილი დოკუმენტაცია, ეს უკანასკნელი კი

(გათვალისწინებული ტექნიკური პირობების დაცვის შემდეგ) მაძიებელს არეგისტრირებს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეთა რეესტრში.

კვალიფიციურ საწარმოებს (წარმოების ლიცენზიანტსა და პირდაპირ მომხმარებელს) შორის ელექტროენერგიის შესყიდვაზე (გაყიდვაზე) ფორმდება ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც სხვა პირობებთან ერთად მოიცავს სავალდებულო პირობებს:

- a) მისაწოდებელი ელექტროენერგიის რაოდენობას და რაოდენობის განსაზღვრის წესს;
- b) მისაწოდებელი ელექტროენერგიის თვიურ და დღიურ საორიენტაციო რაოდენობას ;
- c) მისაწოდებელი ელექტროენერგიის ერთეულის ფასს;
- d) ელექტროენერგიის მიწოდების დაწყებისა და დამთავრების ზუსტ დროს, ზუსტი თარიღის მითითებით.
- e) ელექტროენერგიის მიწოდების პირობებს.

პირდაპირი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების განაცხადის ფორმას (სახელშეკრულებო განაცხადი) ადგენს დისპეჩერიზაციის ლიცენზიანტი სისტემის კომერციულ ოპერატორთან შეთანხმებით.

სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო) გარდა საბითუმო ყიდვა-გაყიდვის ერთიანი ბაზის (რეესტრის) წარმოებისა ასევე უზრუნველყოფს საბალანსო (ნარჩენი) ელექტროენერგიის შესყიდვას წარმოების ლიცენზიანტებისაგან. ესკოს მომსახურების ანაზღაურება სავალდებულოა, რომელსაც წარმოების ლიცენზიანტები იხდიან თვის განმავლობაში წარმოებული (სალტზე გაცემული) ელექტროენერგიის სრული რაოდენობიდან სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით.

კომპანიის მდგომარეობა ბაზარზე

2005-2006 წლებში შპს „ვარციხე 2005“-ის ელ. ენერგიის მთავარ მომხმარებელს წარმოადგენდა ელ. ენერგიის საბითუმო ბაზარი, ხოლო 2007 წლიდან კი, როდესაც საწარმოს წილი გადაეცა კერძო მფლობელობაში მისი ელ. ენერგიის მთავარი მომხმარებელია შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ (GM,LLC), რომელიც წარმოადგენს ყოფილი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის და ჭიათურის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის გაერთიანებას. შპს „ჯორჯიან მანგანეზ“-ზე ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ყოველწლიურად (წლის დაწყებიდან არა უგვიანეს წინა თვისა) ფორმდება ერთი წლის ვადით. შპს „ჯორჯიან მანგანეზ“-ზე მიწოდებული ელ. ენერგიის წილი მთლიანად გაყიდულ ელ. ენერგიის ხვედრით წილში ბოლო პერიოდში თითქმის 100%-ს შეადგენს. ჭარბი ელექტროენერგიის შემთხვევაში მისი მიწოდება ხდება სხვა კერძო კომპანიებზე პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე ან სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორზე“, რომელიც ელექტროენერგიის ბაზრის წესების თანახმად შეისყიდის გენერაციის ობიექტების საბალანსო (ნარჩენ) ელ. ენერგიას.

ელ. ენერგიის რეალიზაცია ყველა მომხმარებელზე ხდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ 2008 წლის 04 დეკემბრის №33 დადგენილების მიხედვით ტარიფები დადგენილია ყველა ლიცენზიანტისთვის. ამ დადგენილების თანახმად შპს „ვარციხე 2005“-თვის ელექტროენერგიის გასაყიდი ზღვრული ტარიფი (ზედა ზღვარი) შეადგენს 1,25 თეთრი/კვტსთ დღგ-ის გარეშე.

ელექტროენერგიის ბაზრის ახალი მოდელი და კონცეფცია

2020 წლის 16 აპრილის #246 დადგენილებით „ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ და „ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2020 წლის 11 აგვისტოს #46 დადგენილების მიხედვით დადგინდა „ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების წესები“, „ელექტროენერგიის საბალანსო და დამხმარე მომსახურებით ბაზრის წესები“, „ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის წესები“, რომლის ამოქმედება ბოლო ცვლილებების მიხედვით იგეგმება 2024 წლის 1 ივლისიდან .

ახალი ელექტროენერგიის ბაზრის კონცეფციის სახელმძღვანელო პრინციპებია:

- ა) ენერგეტიკულ ბაზრებზე კონკურენტული, თავისუფალი და გამჭვირვალე ვაჭრობა;
- ბ) ინტერესთა კონფლიქტისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილება;
- გ) საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა კონკურენტული საბაზრო მექანიზმების მეშვეობით, კერძოდ, ორმხრივი ხელშეკრულებებით ან/და ელექტროენერგიის ორგანიზებულ ბაზრებზე, დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრების ჩათვლით;
- დ) საჯარო მომსახურების გამწვევი ენერგეტიკული საწარმოებისა (გარდა საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლებისა) და მხარდაჭერის მექანიზმით/სქემით მოსარგებლე მწარმოებლების მიერ წარმოებული ელექტროენერგიით ვაჭრობა მხოლოდ ორგანიზებულ ბაზრებზე;
- ე) წარმოებისა და მოხმარების საათობრივი გრაფიკების, ასევე ელექტროენერგიის წარმოების/მოხმარების საშუალებებისა და მათი დატვირთვის განსაზღვრა მათ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ (თვითდისპეტჩირება);
- ვ) ორგანიზებულ ბაზრებზე საათობრივი ვაჭრობა და, შესაბამისად, ბაზრის მონაწილეთა პასუხისმგებლობა მათ მიერ თითოეულ საათში გამოწვეულ უბალანსობაზე;
- ზ) სისტემის ოპერატორების მიერ დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვა მხოლოდ დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე;

ბაზრის ახალი მოდელის მიხედვით განისაზღვრა ბაზრის სეგმენტები :

ა) დღით ადრე ბაზარი; ბ) დღიური ბაზარი; გ) ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი;

დ) საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარი

და საბითუმო ბაზრის სუბიექტები : ა) ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი; ბ) გადამცემი სისტემის ოპერატორი; გ) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი; დ) ელექტროენერგიის მწარმოებელი; ე) ტრეიდერი; ვ) მიმწოდებელი; ზ) მსხვილი მომხმარებელი; თ) საბითუმო საჯარო მომსახურების გამწევი ორგანიზაცია

საბითუმო ბაზრის ოპერირებას დღით ადრე და დღიური ბაზრების შემთხვევაში განახორციელებს ბირჟის ოპერატორი, ხოლო საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრის ოპერირებას - საბალანსო ბაზრის ოპერატორი, რომელიც აღნიშნული ბაზრის ოპერირების გარდა განსაზღვრავს ბაზრის პროდუქტებს, უზრუნველყოფს უბალანსობის საფასურის გაანგარიშებას და ფინანსური ანგარიშსწორების სისტემის ჩამოყალიბებას.

გადამცემის სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს თვითდისპეჩირების პრინციპით ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვას, სისტემის დაბალანსებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, საბითუმო ბაზრების ოპერირებისათვის საჭირო ელექტროენერგიის აღრიცხვის სისტემის მართვას და საათური აღრიცხვის მონაცემების ხელმისაწვდომობას.

ბაზრის ახალი წესების მიზანია : საათობრივი ვაჭრობის დანერგვით ელექტროენერგიის კონკურენტული ბაზრის განვითარება და სამართლიანი ფასის ფორმირება, ეფექტიანი წარმოებისა და მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის საფუძველზე უბალანსობის აღმოფხვა ოპტიმალური ფასებით. აღნიშნული წესები ხელს შეუწყობს შიდა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ევროპულ ორგანიზებულ ბაზრებთან მიახლოებას.


საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება

შპს „ვარციხე 2005“-ის ელ. ენერგიის გამომუშავების მოცულობა ძირითადად დაკავშირებულია წყალსაცავის მკვებავ მდინარეებში (მდ. რიონი, ყვირილა და ხანის წყალი) წყლის რაოდენობაზე და ამიტომ სხვადასხვა წლებში ელ. ენერგიის გამომუშავების დინამიკა განსხვავებულია, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ბოლო წლების მიხედვით გამომუშავების დონე გაიზარდა, რაც ასევე მჭიდრო კავშირშია მოწყობილობების გამართულ მდგომარეობასთან და მათ თავისდროულ კაპ. შეკეთებების ჩატარებასთან. ასევე ნიშანდობლივია რომ 2010 წელს ექსპლუატაციაში შევიდა №2 ჰ/აგ-ი, რომელიც 2000 წლიდან არ ფუნქციონირებდა ავარიული გაჩერების გამო.

დაფუძნების დღიდან ელექტროენერგიის გამომუშავების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი).

მონაცემები მოცემული წლების მიხედვით მკტს-ში.

წლები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
მკტ.სთ	703,768	753,826	763,296	763,440	798,357	814,466	884,890	724,927	864,346	886,865	774,925	936,129	841,068	848,077	727,284	670,560	806,970	826,694




გამომუშავებული ელ. ენერგიიდან 0,23% იხარჯება საკუთარ მოხმარებაზე (მოწყობილობებზე, ელ. ენერგიის კვლავ წარმოებისათვის), ხოლო დაახლოებით 1.05% წარმოადგენს ელ. ენერგიის ბუნებრივ დანაკარგს, როგორც მაღალი ძაბვის ელ. გადამცემ ხაზებში ასევე ძალოვან ტრანსფორმატორებში.

გამომუშავებულ ელ. ენერგიას, საკუთარ მოხმარებასა და დანაკარგს შორის სხვაობა შეადგენს რეალიზებულ (საღებზე გაშვებულ) ელ. ენერგიას, რომელიც წლების მიხედვით, კვტს-ში შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში):

მონაცემები მოცემულია წლების მიხედვით კვტს-ში.

წლები	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
მკტ.სთ	674,074	721,062	727,271	728,968	782,025	796,929	866,542	708,819	847,592	871,018	763,194	921,748	823,476	830,603	712,400	658,458	793,389	816,107



მიზნები და განვითარების გეგმები

ვარციხის ჰიდროელექტროსადგურები უკვე 40 წელია ემსახურება საქართველოს ენერგოსისტემას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის მდგრადობაში. კომპანიამ წლების განმავლობაში ენერგო ბაზარზე დაიმკვიდრა სახელი, როგორც სანდო და თავისი სფეროს მოწინავე წარმომადგენელმა. კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს მისი სტაბილური ზრდა და მომგებიანობა, საწარმოო სიმძლავრეების ეფექტურობის გაზრდა, საწარმოო პროცესების სწრაფი და ოპერატიული მართვის უზრუნველყოფა, დასაქმებული პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარებისადმი ხელის შეწყობა, უსაფრთხოების დონის და შრომის პირობების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და გაზრდა.

შპს „ვარციხე 2005“-ის ძირითადი მიზანია ჰიდროგენერატორების და მათი დამხმარე მოწყობილობების (მაღოვანი და მზომი ტრანსფორმატორები, ამომრთველები და გამთიშველები, ამწე და სტაციონალური მექანიზმები) მუდმივად, მაქსიმალურად ნორმალურ საექსპლუატაციო ტექნიკურ მდგომარეობაში ყოფნა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ელექტროენერგიის დანაკარგები (ავარიული მოცდენის გამო).

კომპანიის მნიშვნელოვანი გამოწვევაა მისი მთავარი საპროექტო პარამეტრი - ელექტროენერგიის საშუალო საპროექტო გამომუშავება, რომელიც 1 მილიარდი კვტსთ-ია წელიწადში. აქედან გამომდინარე ერთ-ერთ მთავარ მისიას (ათვლის წერტილს) წარმოადგენს ნორმატიულ (საპროექტო) მაჩვენებლებთან მიახლოება (კომპანიის

გამომუშავების ისტორიული რეკორდი იყო 2016 წელი - 936 მლნ. კვტსთ წლის განმავლობაში).

კომპანიის დასახული მიზნების მიღწევის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინვესტიციები და კაპიტალდაბანდებები, რაც გულისხმობს ჰიდროაგრეგატების, ძალოვანი მანქანების და სხვა დამხმარე მოწყობილობების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების სრულ რეაბილიტაციას და მათი მოდერნიზაციას „ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების“ მოთხოვნების დაცვით და გათვალისწინებით.

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2015 წელს წარმოების ოპტიმიზაციის შესწავლის და დაგეგმვის მიზნით მოწვეული იყო შესაბამის პროფილის და გამოცდილების მქონე კვლევითი-საკონსულტაციო ორგანიზაცია - ენერჯი სოლუშენი, რომელმაც შეასრულა 1 ეტაპის სამუშაოები (მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია), გაცემულ იქნა პირველადი რეკომენდაციები. სამომავლოდ იგეგმება კვლევის გაგრძელება წარმოების ოპტიმიზაციის გეგმის და საბოლოო რეკომენდაციების ფორმირებისათვის.

განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები და სამომავლო გეგმები

გასული 2022 წელი მნიშვნელოვანი იყო კომპანიისთვის, რადგან ამ წელს განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები:

1. კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა ჰეს N 1-ის N 2 ჰიდროაგრეგატს.
2. განხორციელდა სარეზერვო ძალოვანი ტრანსფორმატორის ტდგ-80 მვა-ს ჰეს #1-დან ჰეს #2-ზე გადატანა (ტაკელაჟი) , ტესტირება და მონტაჟი
3. 10 კვ-ის კომლექსური გამანაწილებელი მოწყობილობის რეკონსტრუქცია ჰესი 3-ზე
4. 0,4 კვ-ის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის რეკონსტრუქცია და მუდმივი დენის გამანაწილებელი ფარის რეკონსტრუქცია ჰესი 1-ზე
5. დაბალი წნევის (8 ატმ) კომპრესორების შეძენა ჰეს 2-ზე.
6. განახლდა ავტო-პარკი (ტექნიკური პერსონალის მომსახურებისათვის და მოწყობილობა/მასალების გადასაადგილებლად).
7. განახლდა კომპიუტერული ტექნიკა
8. მომზადდა 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "კოხრა 3-4"-ის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტი.

2023 წელს დაგეგმილია :

1. ჰესი 2-ის #3 ჰიდროაგრეგატის კაპიტალური შეკეთება.
2. ჰესი #1,2,3,4-ის საგენერატორო შენობების სახურავის შეკეთება
3. მუდმივი დენის გამანაწილებელი ფარის რეკონსტრუქცია ჰესი 1-ზე
4. 110 კვ-ის ღია გამანაწილებელი მოწყობილობების რეკონსტრუქცია ჰესი #1 და #2-ზე
5. სააკუმულატორო ბატარიის შეცვლა ჰესი #1-ზე
6. ტურბინის მუშა თვლის ფრთების აღდგენა
7. მაღალი წნევის (40 ატმ) კომპრესორის შეძენა და შეცვლა
8. სათავე ნაგებობის, ჰესი #1,2,3,4-ის ამწე მექანიზმების (ჯოჯგინა და ხიდურა ამწეების) კაპიტალური შეკეთება, გამოცდა, სერტიფიკაცია.
9. 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "კოხრა 3-4"-ის მონაკვეთის რეკონსტრუქცია.
10. შპს "ვარციხე 2005"-ის სათავე ნაგებობაზე თევზსავალის პროექტირება და მოწყობა
11. თევზამრდის ელექტროიმპულსური სისტემის მოწყობა სათავე ნაგებობაზე
ეტაპი I - საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება
12. ჰესი 1-ის ტერიტორიაზე ცენტრალური მართვის ფარის და მორიგე პერსონალის შენობის კაპ. შეკეთება

ორგანიზაციის სტრუქტურა

კომპანიას წარმოადგენს და ერთპიროვნულად ხელმძღვანელობს დირექტორი. კომპანია სტრუქტურულად იყოფა რამოდენიმე მიმართულებად (აპარატი, ტექნიკური მიმართულება, საფინანსო მიმართულება, სამეურნეო მიმართულება, გარემოს, შრომის დაცვის და მონიტორინგის, უსაფრთხოების სამსახურები). მიმართულებებს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილეები. მიმართულებები თავის მხრივ იყოფა განყოფილებებად, რომელთაც ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსები. სქემატურად სტრუქტურული დაყოფა შეგიძლიათ იხ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

#	განყოფილების დასახელება	თანამშრომელთა რაოდენობა	ქვედანაყოფის ხელმძღვანელი
1	სამმართველო აპარატი	6	ზ.უფლისაშვილი
2	გარემოს, შრომის დაცვის და მონიტორინგის სამსახური	3	ი.სეფისკვერაძე
3	უსაფრთხოების სამსახური	3	თ. გურული
4	საფინანსო მიმართულება, მ.შ.	1	გ.ხაჩიძე
4.1	საფინანსო განყოფილება	4	გ.ივანეშვილი
5	ტექნიკური მიმართულება, მ.შ.	1	ა.ყაველაშვილი
5.1	საწარმო ტექნიკური განყოფილება	5	ნ.ტაბატაძე
5.2	ოპერატიული მართვის სამსახური	21	ა.ფანცხავა
5.3	ჰესი -1	17	მ.ხაჩიძე

5.4	პეს –II	12	ნ.ფურცელაძე
5.5	პეს –III	13	დ.ჩიქოვანი
5.6	პეს –IV	14	ი.ხაჩიძე
5.7	ელ.ტექნიკური ლაბორატორია	5	გ.რობაქიძე
5.8	ჰიდრო-ტექნიკური სამუშაო	6	გ.ყავლაშვილი
5.9	110-10 კვ.-ის საპაერო გადამცემი ხაზების ექსპლოატაციის განყოფილება	5	ვ.ბოდუკია
6	სამეურნეო მიმართულება, მ.შ.	1	გ.ფანცხავა
6.1	მშენებლობის და მომარაგება-ტრანსპორტირების განყოფილება	13	ა.ჯანელიძე
	ჯამი:	130	

ლიცენზიები და ნებართვები

კომპანია ფლობს რამოდენიმე ლიცენზიას/ნებართვას:

- ელ. ენერგიის წარმოებაზე შპს „ვარციხე 2005“-ს „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიისაგან“ მიღებული აქვს ლიცენზია სერია 11 №62, რომელიც ძალაშია 2005 წლის 21 მარტიდან 2009 წლის 1 დეკემბრამდე. „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის“ 2006 წლის 01 დეკემბრის №28/1 გადაწყვეტილებით გაგრძელდა შპს „ვარციხე 2005“-ზე გაცემული ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია (№62 სერია 11) უვადოდ.
- 2005 წლის მარტს კომპანიაზე საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №39 ბრძანების საფუძველზე გაცემულია ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ლიცენზია (სერია წა ნომერი 001139 ტიპი 50 რეგისტრ. თარიღი 25.03.2005), რომელიც გულისხმობს ვარციხის წყალსაცავიდან ენერგეტიკული დანიშნულებით წყალსარგებლობას. ლიცენზია თავდაპირველად გაცემული იყო 10(ათი) წლის ვადით, ხოლო კანონმდებლობის ცვლილების შემდეგ აღნიშნული სფერო აღარ საჭიროებს ლიცენზირებას.
- 2010 წლის 28 მაისს №33 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსაგან 2010 წლის 11 ივნისს კომპანიას მიღებული აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000029, კოდი MD1. ნებართვა გაცემულია უვადო მოქმედების ვადით.
- კომპანია ფლობს ასევე რამოდენიმე ლიცენზიას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას, რომლის მიხედვითაც კომპანიას კონკრეტულ ტერიტორიაზე აქვს მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების უფლება. აღნიშნული ლიცენზიებია:

№1003873 18.08.2016წ, მოსაპოვებელი რესურსის ლიმიტი 7000 კუბური მეტრი წელიწადში.

№1003874 18.08.2016წ, მოსაპოვებელი რესურსის ლიმიტი 7000 კუბური მეტრი წელიწადში.

№1003875 18.08.2016წ, მოსაპოვებელი რესურსის ლიმიტი 7000 კუბური მეტრი წელიწადში.

№1003877 18.08.2016წ, მოსაპოვებელი რესურსის ლიმიტი 7000 კუბური მეტრი წელიწადში.

№10000338 09.11.2018წ, მოსაპოვებელი რესურსის ლიმიტი 7000 კუბური მეტრი წელიწადში.

№1003212 15.12.2015წ, მოსაპოვებელი რესურსის ლიმიტი 180 კუბური მეტრი წელიწადში.

სოციალური და დასაქმებულებთან დაკავშირებული საკითხები

დასაქმებულთა რაოდენობა

სულ კომპანიაში 2022 წლის ბოლოსთვის დასაქმებულია 129 (ასოცდაცხრა) კაცი, მ.შ. 74 არის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და 55 მუშა. დასაქმებულთა საშუალო ასაკი 48 წელი. დასაქმებულია 17 ქალი.

პერსონალის შერჩევა

კომპანიაში სტაჟირების ან პრაქტიკული მეცადინეობის გავლის მიზნით ხშირად მომართავენ შესაბამისი პროფილის სტუდენტები. წარმატებული სტაჟიორი აღირიცხება კომპანიის მონაცემთა ბაზაში და ვაკანსიის შემთხვევაში ხდება მათთან დაკავშირება ვაკანსიის შეთავაზების მიზნით.

სამსახურში აყვანის მსურველის CV-ის გაცნობის და გასაუბრების შემდეგ მუდმივმოქმედი კომისია აძლევს რეკომენდაციას დირექტორს, რომ პიროვნება შეესაბამება შესაბამის ვაკანსიას. ზოგიერთ თანამდებობაზე (ძირითადად მორიგე, ოპერატიულ პერსონალზე) ინიშნება გამოსაცდელი ვადა და მისი გასვლის შემდეგ ბარდება გამოცდები თეორიული და პრაქტიკული საკითხებით.

პერსონალის უსაფრთხოება

კომპანიაში შექმნილია გარემოს, შრომის დაცვისა და მონიტორინგის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს როგორც შიდასაწარმოს, ასევე ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი დებულებებით, ინსტრუქციებით და წესებით, რომლის მიხედვითაც:

- 1) პერსონალისთვის შესაბამისი პერიოდულობით რიგდება სპეც. ტანსაცმელი, სპეც. ფეხსაცმელი, ჩაფხუტი, რეზინის ჩექმა, ზამთრის ქურთუკი, სპეც. ხელთათმანი და ჰიგიენური საშუალებები
- 2) პერსონალისათვის შეძენილია ინდივიდუალური დამცავი ხელსაწყოები.
- 3) ყოველ სამ თვეში პერსონალს უტარდება „ავარიული ვარჯიში“. ყოველ თვეში ინსტრუქტაჟი, ყოველი სამუშაოს დაწყების წინ უტარდებათ სამუშაოს შესაბამისი ინსტრუქტაჟი.
- 4) ტექნიკურ პერსონალს ყოველ სამ წელიწადში უტარდებათ საკვალიფიკაციო გამოცდა „ტექნიკურ ექსპლუატაციისა და „სახანძრო უსაფრთხოების ცოდნაში.
- 5) ტექნიკურ პერსონალს ყოველ წელს უტარდებათ საკვალიფიკაციო გამოცდა „უსაფრთხოების ტექნიკაში“ და „პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის“ ცოდნაში.
- 6) სისტემატურად ხდება პერსონალის შემოწმება მათი მხრიდან: უსაფრთხოების წესების, შრომის დაცვის, ჰიგიენური ნორმების დაცვის აუცილებლობაზე და ალკოჰოლურ თრობაზე
- 7) თვეში ერთხელ ტარდება ტექნიკური უსაფრთხოების დღე, ასევე ტარდება მოულოდნელი შემოწმებები, რა დროსაც ხდება, როგორც პერსონალის შემოწმება, ასევე რისკების გამოვლენა და შეფასება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. გამოვლენის შემთხვევაში ხდება, როგორც აღმოჩენილი რისკების, ასევე ანარჩენი რისკების შეფასება და პრევენცია.
- 8) გარკვეული პერიოდულობით ხდება პერსონალის დასწრება ტრენინგებზე.
- 9) საწარმოს სახელშეკრულებო პირობების ფარგლებში პერიოდულ კონსულტაციას უწევს სერტიფიცირებული კომპანია შრომის უსაფრთხოების სფეროში.
- 10) საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსება ხდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში და ყოველი წლის ბოლოს ხელშეკრულების საფუძველზე ხდება ნარჩენების გატანა ლიცენზირებული კომპანიის მიერ, რომელიც აისახება გარემოს დაცვის ონლაინ პლატფორმაზე.
- 11) საწარმოს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შრომის უსაფრთხოების კომპანიასთან. პერიოდულად მათთან ერთად ხდება საწარმოს ყველა სტრუქტურული ობიექტის შემოწმება დათვალიერება პერსონალის სამუშაო ადგილის გამოკვლევა და შ.პ.ს „ვარციხე 2005“-ს გადმოცემა აღნიშნული მონაცემები რაპორტის სახით.

ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა

შრომის შინაგანაწესით დადგენილია მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომელიც კვირაში არ აღემატება 40სთ-ს. სამუშაო დღე იწყება 09 სთ-ზე, შესვენება 01სთ (13სთ-დან 14სთ-მდე) , ხოლო სამუშაო დღე მთავრდება 18სთ-ზე. ცვლაში მომუშავეთათვის სამუშაო სთ-ები განსაზღვრულია 23 სთ-ანი ცვლით. ცვლაში მომუშავეს სამუშაო დღე იწყება 09 სთ-ზე, შესვენება 01სთ (15სთ-დან 16სთ-მდე) , ხოლო სამუშაო დღე მთავრდება მომდევნო დღის 09 სთ-ზე. ცვლაში მომუშავე პერსონალი ერთმანეთს

ენაცვლება ცვლიანობის განრიგით. ცვლიდან გამოსული პერსონალი ახალ, მორიგ ცვლაში შედის 72 სთ-ანი ციკლის შემდეგ. საწარმოში დაწესებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა 2 დასვენების დღით. უქმე დღეების წინ დასაქმებულთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა მცირდება 1სთ-ით. დასაქმებულები (გარდა ცვლაში მომუშავე პერსონალისა) არ მუშაობენ უქმე დღეებში, რომლებიც დადგენილია საქართველოს შრომის კოდექსით.

საწარმოს ყველა პერსონალს უფლება აქვს ყოველწლიურად ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით, რომელიც შეადგენს 30 სამუშაო დღეს. კუთვნილი შვებულება სრულად ანაზღაურებადია. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ასევე ანაზღაურების გარეშე შვებულებით, წელიწადში არანაკლებ 15 კალენდარული დღით. ანაზღაურებადია ზეგანაკვეთური სამუშაო. განსხვავებული (გაზრდილი) განაკვეთით ანაზღაურდება ასევე ცვლაში მომუშავის მიერ უქმე დღეებში შესრულებული ნორმირებული სამუშაო.

კომპანია ანაზღაურებს დროებითი შრომის უუნარობას ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ხოლო 6 თვის განმავლობაში 60 კალენდარულ დღეს. ყველა თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები სარგებლობს ჯანმრთელობის კორპორაციული დაზღვევით, სადაზღვეო პრემიის თანხას სრულად ანაზღაურებს საწარმო. სადაზღვეო პროდუქტით სარგებლობს როგორც თანამშრომელი, ასევე თანამშრომლის ოჯახის წევრებიც.

სამუშაო ანაზღაურების სისტემა

კომპანიაში მომუშავეთა სახელფასო განაკვეთები განსაზღვრულია საშტატო განრიგის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი. საშტატო განრიგი მოიცავს საშტატო ერთეულის ძირითად განაკვეთს. დადგენილია დანამატი ღამის საათებში მუშაობისთვის ცვლაში მომუშავე პერსონალისათვის.

კომპანია შრომის ანაზღაურების სისტემად იყენებს საათობრივი ანაზღაურების მოდელს. ფაქტობრივად ნამუშევარი საათების მიხედვით იანგარიშება, როგორც ფიქსირებულ ანაზღაურებაზე მომუშავეთა ხელფასი, ასევე ცვლაში მომუშავეთა ხელფასი.

თანამშრომელს ყოველწლიურად ეკუთვნის ანაზღაურებადი შვებულება 30 სამუშაო დღის ოდენობით. რომელიც ანაზღაურდება წინა სამი თვის საშუალო ხელფასის და საშუალოდ ნამუშევარი საათების ბაზაზე. კომპანია წარმოდგენილი საავადმყოფო ფუცლის საფუძველზე 100%-ით ანაზღაურებს დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში გაცდენილ დღეებს. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურებადია 1,3 მაგი ოდენობით. უქმე დღეებში ცვლაში მომუშავე პერსონალისათვის ანაზღაურება შეადგენს 1,25 მაგ ოდენობას. კომპანიაში გაიცემა ბონუსები საკუთარი ძალებით (სამუშაო ბრიგადით) მასშტაბური სამუშაოების შესრულებისას, კერძოდ აგრეგატების კაპიტალური რემონტების (რომელიც საშუალოდ 4 თვეს გრძელდება) წარმატებით განხორციელებისას, ასევე გაიცემა ხელფასზე დანამატები, მატერიალური და ფულადი ჯილდოები სადღესასწაულო და პროფესიული დღეებთან დაკავშირებით, ადგილი აქვს მატერიალური (სოციალური) დახმარებების გაცემასაც.

შიდა პოლიტიკა

კომპანიში არსებული შიდა პოლიტიკით განსაზღვრული კონტროლის მექანიზმები, მონიტორინგის სისტემები და რეგულაციები (შრომის შიდა განაწესი, თანამდებობრივი ინსტრუქციები, შრომითი კონტრაქტები, შიდა დებულებებით და ინსტრუქციებით რეგლამეტირებული პროცედურები სამეურნეო ოპერაციებზე და საწარმოო პროცესებზე) გამოიცხადებს თაღლითობის, დაუდევრობის ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ფაქტების მოხდენის რისკის შესაძლებლობებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

ისევე როგორც ყველა სახის სამეწარმეო საქმიანობა, ასევე ჩვენი დარგისათვისაც დამახასიათებელია გარკვეული რისკები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ზარალი (სავარაუდო დანაკარგები) დამატებითი დანახარჯების გაწევის სახით ან შემოსავლების შემცირება, ვიდრე ეს იქნებოდა ნორმალურ (რესურსების რაციონალური გამოყენების) პირობებში. შესაძლებელია რისკების კლასიფიკაცია და რამოდენიმე სახეობის ჩამოთვლა, რომელთაც გარკვეული უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის საქმიანობაზე. ასეთი შეიძლება იყოს : საოპერაციო რისკი, ბაზრის რისკი, ბუნებრივი კატაკლიზმების, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები.

საოპერაციო რისკი - მუშა და ძალოვანი მანქანებისა და მოწყობილობების, ძალოვანი ტრანსფორმატორების და 110 კვ-ის ელექტრო გადამცემი ხაზების ექსპლოატაციისას წარმოქმნილი დეფექტები იწვევს ცალკეული მოწყობილობის მცირე დროით (2-4 სთ-ით) ავარიულ ამორთვას, რაც იწვევს მოცდენას და ელექტროენერგიის გამომუშავების შეწყვეტას ან შეზღუდვას (2018 წელს ანალოგიურმა მოცდენებმა 2 400 მგტს შეადგინა), ამის საპრევენციოთ გარკვეული პერიოდულობით ტარდება პროფილაქტიკური ელ. გაზომვები (2 წელიწადში ერთჯერ), ქრომატოგრაფიული ანალიზები (წელიწადში ორჯერ), მოწყობილობების პერიოდული ტესტირებები და შემოწმებები, რაც გვაძლავს სრულ სურათს მოწყობილობების ტექნიკური მდგომარეობების შესახებ. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებების მოცულობები, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ავარიული ამორთვების შედეგად მოცდენის რისკები. მოცდენები დაკავშირებულია ასევე სისტემურ ავარიებთან.

ბუნებრივი კატაკლიზმები - ფორსმაჟორული ბუნებრივი მოვლენები, როგორიცაა წყალდიდობები და წყალმოვარდნები, იწვევს ჩვენს შემთხვევაში რიონის მარჯვენა სანაპირო ტრაქტის ჰიდროდინამიკურ პროცესებს და ნაპირების ეროზიას. წინა წლებში წყალდიდობების და წყალმოვარდნების (მდ. რიონში წყლის კატასტროფული ხარჯების გატარების შედეგად) ადგილი ჰქონდა ნაპირსამაგრი ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაზიანებას, რომელიც შესწავლილ იქნა, დამუშავდა საპროექტო დოკუმენტაცია,

პროექტი შეთანხმდა გარემოს დაცვის სააგენტოსთან და მოხდა დაზიანებული უბნების აღდგენა. აღნიშნული დაზიანებების თავიდან აცილების მიზნით კომპანია წინასწარ ახორციელებს ჰიდროდინამიკურ პროცესებზე დაკვირვებას და გამოვლენილი დეფექტური უბნების აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მისი შესწავლა და შემდგომი რეაბილიტაცია. ბუნებრივი მოვლენებისგან საფრთხის რისკის შემცველ განსაკუთრებულ ობიექტებს წარმოადგენს 110 კვ-ის ელექტრო გადამცემი ხაზები, კონკრეტულად ამ მხრივ მაღალი რისკის ზონად ხასიათდება ჰიდროელექტროსადგური #4-ის მონაკვეთი ელექტროგადამცემი ხაზები „ბაში-1“ , „ბაში 2“ და „პატრიკეთი 1“-ის გარკვეული მონაკვეთები, რომლებიც მდებარეობს გაზრდილი ჭექა-ქუხილის არეალში, სადაც დიდია ალბათობა (მიუხედავად დამცავი საშუალებებისა) ავარიული შემთხვევებისა. ავარიული სიტუაციების შემცირების მიზნით პერიოდულად ხდება შემოვლა დაზიანებული იზოლატორების შემოწმების მიზნით.

ბაზრის რისკი - უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში კომპანიის თითქმის ერთადერთ მომხმარებელს წარმოადგენს შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა), რომელთანაც ყოველწლიურად ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება ელექტროენერგიის მიწოდებაზე. 2017 წლის მაისის თვეში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მოთხოვნით აღნიშნული ხელშეკრულება შეჩერდა დროებით, რის გამოც 2017 წლის 4 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით კომპანიამ შეწყვიტა ელექტროენერგიის გამომუშავება და შესაბამისად შპს „ჯორჯიან მანგანეზ“-ზე მიწოდება. მიზეზი ხელშეკრულების შეწყვეტის იყო სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიმართ შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ დავალიანება, რამაც ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების თანახმად გამოიწვია შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მოხმარების შეზღუდვა. ასევე ბოლო პერიოდში, შეინიშნება ფეროშენადნობთა ბაზარზე ექსპორტის კლება, რაც ბაზარზე არსებული ფეროშენადნობთა ფასების ვარდნასთან არის დაკავშირებული. ექსპერტები იმედოვნებენ, რომ ბაზარზე არსებული კრიზისული პერიოდი ხანგრძლივი არ აღმოჩნდება.



საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები - კომპანია სარგებლობს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათით მიწის გადასახადის ნაწილში. საგადასახადო კოდექსის დებულებების მიხედვით მიწის გადასახადისაგან განთავისუფლებულია ელექტროსადგურებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარულ-დაცვითი ტექნიკური ზონები. თეორიულად ამ ნაწილში შეღავათის გაუქმება მნიშვნელოვანი საგადასახადო ტვირთი იქნება კომპანიისთვის.


გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

შპს „ვარციხე 2005“ გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების № 000029 ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ფარგლებში გეგმაზომიერად და ეტაპობრივად ასრულებს გარემოსდაცვით მოთხოვნებს და დადგენილ შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს.

„ვარციხე ჰესების კასკადის მიმდინარე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა (ანგარიში)“, მომზადდა, წარედგინა და შეთანხმებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან 2016 წელს, ხოლო შემდეგ გეგმა განახლდა 2020 და 2023 წელს. შეთანხმებული გეგმის საფუძველზე კომპანიის წარმომადგენლის („გარემოს დაცვის მმართველის“) მიერ სისტემატიურად მიმდინარეობს მონიტორინგი მის შესასრულებლად. ნარჩენების საწარმოს ტერიტორიიდან გატანის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება ლიცენზირებულ კომპანიასთან (შპს „სანიტარ“-თან).

ფინანსური მაჩვენებლები





დირექტორი :

დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში :

შპს ვარციხე 2005

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ვარციხე 2005“-ის („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 10 აპრილს.

ზაალ უფლისაშვილი
გენერალური დირექტორი

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი



გიორგი ხაჩიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ვარციხე 2005-ის მფლობელებსა და დირექტორებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ვარციხე 2005-ის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა პირობითი მოსაზრების აბზაცში აღწერილი საკითხისა, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს დაკავშირებული მხარისგან - შპს ჯოლინ ჰოლდინგს ლიმიტედისგან მიღებული სესხი 2,443,094 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით აღნიშნული სესხის ღირებულების შემოწმება რადგან ხელმძღვანელობამ ვერ მოგვაწოდა შესაბამისი დოკუმენტაცია. ვინაიდან მიღებული სესხის ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გაცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.

- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვეველობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოდგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

გიორგი ბერიშვილი



შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

2023 წლის 10 აპრილი

თბილისი, საქართველო



შპს ვარციხე 2005

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	66,210,396	67,073,845	68,294,468
არამატერიალური აქტივები		16,247	19,543	23,927
აქტივის გამოყენების უფლება	7	2,126,312	2,193,814	2,261,316
გაცემული სესხები	8	14,541,576	20,042,145	25,707,112
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	18,847,150	-	-
შეზღუდული ფული	9	302,299	346,559	366,585
სულ გრძელვადიანი აქტივები		102,043,980	89,675,906	96,653,408
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	10	820,314	824,048	762,986
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	20,189,679	47,770,275	48,630,638
გაცემული სესხები	8	3,172,461	3,793,647	3,639,881
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		338,699	255,069	95,158
სხვა აქტივები		11,823	6,841	9,566
ფული და ფულის ექვივალენტები	12	8,193	22,181	1,496
სულ მიმდინარე აქტივები		24,541,169	52,672,061	53,139,725
სულ აქტივები		126,585,149	142,347,967	149,793,133
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	102,150,230	102,150,230	102,150,230
გაუნაწილებელი მოგება		1,821,946	10,507,066	12,514,358
სულ კაპიტალი		103,972,176	112,657,296	114,664,588
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	14	13,753,015	20,013,749	25,277,569
გადავადებული შემოსავალი	7	2,058,810	2,126,312	2,193,814
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15,811,825	22,140,061	27,471,383
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სესხები	14	6,260,765	6,839,011	6,834,450
საიჯარო ვალდებულებები		-	6,004	53,343
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	381,869	506,005	579,226
გადავადებული შემოსავალი	7	67,502	67,502	67,502
საგადასახადო ვალდებულებები		91,012	132,088	122,641
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,801,148	7,550,610	7,657,162
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		126,585,149	142,347,967	149,793,133

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 10 აპრილს.

ზალო უფლისაშვილი
გენერალური დირექტორი

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

გიორგი ხაჩიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ვარციხე 2005

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	16	10,223,936	9,953,857
რეალიზაციის თვითღირებულება	17	(5,752,412)	(5,382,020)
მთლიანი მოგება		4,471,524	4,571,837
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,948,326)	(2,707,739)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	19	(355,235)	(337,312)
საპროცენტო შემოსავლები		3,097,143	2,812,144
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	20	(4,876,600)	(2,177,912)
საპროცენტო ხარჯები		(1,863,461)	(2,490,412)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	21	(6,210,165)	(1,677,898)
ზარალი მოგების გადასახადამდე		(8,685,120)	(2,007,292)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური ზარალი		(8,685,120)	(2,007,292)
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(8,685,120)	(2,007,292)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 10 აპრილს.

ზაალ უფლისაშვილი
გენერალური დირექტორი

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი



გიორგი ნაჩიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ვარციხე 2005

კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2021 (წინა ანგარიშგებით)		102,150,230	12,205,976	114,356,206
ბალანსი 1 იანვარი 2021 (გადაანგარიშებული)		102,150,230	12,514,358	114,664,588
სულ წლის სრული ზარალი		-	(2,206,469)	(2,206,469)
გადახდილი დივიდენდი		-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2021 (წინა ანგარიშგებით)		102,150,230	9,999,507	112,149,737
სულ წლის სრული ზარალი		-	(2,007,292)	(2,007,292)
გადახდილი დივიდენდი		-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)		102,150,230	10,507,066	112,657,296
სულ წლის სრული ზარალი		-	(8,685,120)	(8,685,120)
გადახდილი დივიდენდი		-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022		102,150,230	1,821,946	103,972,176

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 10 აპრილს.

ზაალ უფლისაშვილი
გენერალური დირექტორი

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი



გიორგი ხაჩიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ვარციხე 2005

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადის შემდეგ		(8,685,120)	(2,007,292)
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	17, 18, 19	1,988,261	1,976,458
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული (შემოსავალი)/ზარალი		(2,390)	3,273
მარაგების ჩამოწერა	21	-	4,795
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	7	67,502	67,502
გადავადებული შემოსავალი	7	(67,502)	(67,502)
შემოსავალი ინვესტირების შედეგად		(94,950)	-
ხარჯი ინვესტირების შედეგად		58,506	-
ფინანსური აქტივის პირობების ცვლილებით გამოწვეული ზარალი	21	4,462,432	-
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა	20	4,876,600	2,177,912
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე, წმინდა	21	2,064,450	1,241,700
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი გაცემულ სესხებზე, წმინდა	21	(422,865)	427,054
მოწოდებლებზე გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, წმინდა		145,338	-
საპროცენტო შემოსავალი		(3,097,142)	(2,812,143)
საპროცენტო ხარჯი		1,863,461	2,490,412
სახსრების (გადინება)/შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		3,156,581	3,502,169
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		3,156,581	3,502,169
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,910,245)	(2,625,055)
მოწოდებლებზე გადახდილი ავანსების ზრდა		(228,967)	(159,911)
მარაგების შემცირება/(ზრდა)		40,179	(65,857)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(172,524)	(116,820)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		885,024	534,526
მიღებული პროცენტი		2,223,156	2,841,291
გადახდილი პროცენტი		(1,893,924)	(2,436,778)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,214,256	939,039
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,164,263)	(754,726)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		(926)	-
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		46,064	-
გაცემული სესხების დაფარვით მიღებული თანხები		3,554,522	3,519,063
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		2,435,395	2,764,337
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების დაფარვა	14	(3,650,405)	(3,680,936)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,650,405)	(3,680,936)
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(754)	22,440
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	12	368,740	368,082
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ექვივალენტებზე		(57,494)	(21,782)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	12	310,492	368,740

გამოსაქვეყნებლად დაამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 10 აპრილს.

ზაალ უფლისაშვილი
გენერალური დირექტორი

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

გიორგი ხაჩიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

2023 წლის 10 აპრილი
საქართველო, თბილისი

9-39 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ვარციხე 2005 მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს ვარციხე 2005-ის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს ვარციხე 2005 მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ვარციხე 2005. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

მართვის საკონსულტაციო ჯგუფი


თამარ მერმანიშვილი

მმართველი პარტნიორი



2023 წელი, თბილისი, საქართველო





დირექტორი :



დირექტორის მოადგილე ფინანსოვროს საკითხებში :